2024/2025 სასწავლო წლისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული PEERS საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული PEERS საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიბის კანდიდატების შერჩევა 2023/2024 სასწავლო წლისთვის.

2. კომისიის შეფასება

კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის შეფასებას მინიოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების თანახმად.

3. შეფასების კრიტერიუმები

3.1. სტუდენტების შემთხვევაში:

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA) - (0-8)
2. რეზიუმე (0-3)
3. მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრა (0-6)
4. ინგლისური ან პორტუგალიური ენის ცოდნის დონე (0-3)

3.2. აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში:

5. აპლიკანტის ადმინისტრაციული/აკადემიური შესაბამისობა და რელევანტურობა - (0-8)
6. სამუშაო გეგმის თავსებადობა (0-6)
7. რეზიუმე (0-3)
8. ინგლისური ან პორტუგალიური ენის ცოდნის დონე (0-3)

4. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.